ჩუნგური საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველანა!

ოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი № 15 1-15 აგვისტო (9438) ფასი 40 თეთრი

10 წელი აგვისტოს ომიდან

2008 წლის 7 აგვისტოს ნგრევის და აფეთქების ხმამ შეაზანზარა სენაკი. სენაკის სამხედრო ბაზასთან და სხვა ობიექტებთან ერთად ჭურვი ყოფილი სასტუმრო „ეგრისის" შენობის წინ ჩამოვარდა. სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს აქ მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილმა პირებმა, სამი ადამიანის-ჯონი და მურმან ქარდავების, მეირა(მირო) ინჯგიას სიცოცხლე შეიწირა აფეთქებამ.

ცხინვალში სამშობლოსათვის გულანთებულ ჭაბუკთა შორის გმირულად დაიღუპნენ სენაკის ბრიგადის №22 ბატალიონის კაპრალი ლევან თეფანია, 2 ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ასეულის კაპრალი თემურ ბოკუჩავა.

10 წელი გავიდა იმ ტრაგიკული დღეებიდან. გაზეთმა „კოლხეთმა" ფოტოკოლაჟთან ერთად არაერთი წერილი და კორესპონდენცია მიუძღვნა რუსული აგრესიის მსხვერპლთ.

ამჯერადაც აგვისტოს ომის 10 წლისთავზე გაზეთი „კოლხეთის" შემოქმედებითი მუშაკები მოკრძალებით ხრიან თავს დაღუპულთა ხსოვნის წინაშე.

ისტორიის მანძილზე არაერთხელ ყოფილა საქართველო აგრესიისა და თავსმოხვეული ომების მსხვერპლი.

ქართველი კაცი მუდამ იბრძოდა თავის მიწა-წყლის დასაცავად. მამული ერთია-ის არავისზე და არაფერზე არ გაიცვლება. გვწამს ერთმანეთის გატანით, ერთად დგომით გაძლიერდება ჩვენი მამული. შთამომავლობას კი მუდამ შემორჩება სრულიად საქართველოს მასშტაბით დაღუპულთა წმინდა სახელები.

მუნიციპალიტეტის მერიაში

ცენტრალურ მოედანზე

საღამოს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეწირული გმირების ხსოვნას მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ სახვითი ხელოვნების გალერეაში, ასევე ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში გაიხსნა 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ფოტომასალებისა და ნამუშევრების გამოფენა. საღამო სანთლებით საქართველოს დროშის გამოსახვამ და მოციმციმე ფრანების აშვებამ დაასრულა.

ხსოვნის საღამო მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე

სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე ღონისძიება რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ვიდეოკადრების ჩვენებით დაიწყო. საღამოს „10 წელი აგვისტოს ომიდან" სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური კობა გრიგოლია, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, დეკანოზი იოსებ ესაკია, სამხედრო პირე-

ბი და თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ომის უშუალო მონაწილე ჯარისკაცებმა, დეკანოზმა იოსებმა თავიანთი მოგონებებით გააცოცხლეს აგვისტოს ტრაგედიის სისხლიანი ქრონიკები, აგვისტოს გმირების თავდადების მნიშვნელობაზე ისაუბრა მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა კობა გრიგოლიამ. დამსწრე საზოგადოებას ასევე მიმართა ცხინვალის მისადგომებთან გმირულად დაცემული სენაკელი მებრძოლის ლევან თეფანიას მეუღლემ. ღონისძიება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით წარიმართა.

პატივი მიაგეს აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას

სენაკში, პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაცემულ მეომართა და რუსეთის აგრესიას შეწირულ მოქალაქეთა ხსოვნას. 10 წელი გავიდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებიდან. რუსეთის აგრესია, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, სწორედ სენაკმა იწვნია ყველაზე მძიმედ. მნიშვნელოვნად დაზიანდა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა, მაგრამ ყველაფერზე მტკივნეული ადამიანთა მსხვერპლი იყო. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ სენაკის მეორე ბატალიონის მებრძოლები: ლევან თეფანია და თემურ ბოკუჩავა, ქალაქის დაბომბვის შედეგად დაიღუპა 3 მოქალაქე: მეირა ინჯგია, ჯონი და როლანდ ქარდავები. იყო მსხვერპლი სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზის დაბომბვისას. ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, აგვისტოს მოვლენების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. შემკობის შემდეგ, წმ. იოანე ნათლისმცემლის სენაკის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

გმირთა საფლავები ყვავილებით შეამკეს

აგვისტოს ომში გმირულად დაცემულ მებრძოლთა - ლევან თეფანიასა და თემურ ბოკუჩავას, ასევე, ISAF-ის მისიის დროს დაღუპული კაპრალების გივი ფანცულაიასა და რამაზ დავითაიას საფლავები ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ აფხაზეთის მთავრობისა და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა. - თითოეული ჩვენგანისთვის სამაგალითოა ამ ვაჟკაცების გმირული თავგანწირვა. ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. სწორედ ასეთი გმირობების მაგალითებზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გმირთა საფლავზე. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამის ფარგლებში, აგვისტოს ტრაგედიის შედეგად და ISAF-ის მისიის დროს დაღუპულთა ოჯახებზე გაიცა დახმარება 500-500 ლარის ოდენობით.

გაგრძელება მეორე გვერდზე

გვახსოვდეს გმირები

8 აგვისტო, კიდევ ერთი ტკივილიანი თარიღი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში.

ხუთდღიანი ომი რუსეთ-საქართველოს შორის უმძიმესი შედეგებით დასრულდა. ოკუპირებული იქნა ტერიტორიები, საკუთარ ქვეყანაში დევნილი გახდა ათასობით ადამიანი, ომმა შეიწირა მშვიდობიანი მოქალაქეები, რჩეული ვაჟკაცები.

გვეგონა გმირობა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბოლო ათწლეულებმა გვაჩვენა, რომ ვაჟკაცობა და ქვეყნისათვის თავდადება კოდირებულია ქართულ გენში. სიამაყის გრძნობა გიჩნდება, როცა ეცნობი მათი გმირობის ეპიზოდებს. ისინი ბევრნი არიან: გიორგი ანწუხელიძე გაუტეხელი საქართველოს სიმბოლო, შინდისის ბიჭები, რომელთა თავგანწირვამ მტერიც კი გააოგნა.

2008 წლის ომის დროს დაიღუპნენ სენაკელი ვაჟკაცები ლევან თეფანია და თემურ ბოკუჩავა.

თემური დაიბადა აფხაზეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ეშერაში. ჰქონდა კარგი ბავშვობა, ცელქი და მოსიყვარულე ყოფილა. ნებიერი ბავშვობა ეშერაში დარჩა. ოჯახი დევნილის სტატუსით სენაკში გადმოვიდა საცხოვრებლად. დაამთავრა დევნილთა მე-7 სკოლა, თავისი სურვილით ჩადგა სამხედრო სამსახურში. 2006 წლის ივნისიდან სენაკის მე-2 ქვეითი საშტატო ასეულის კაპრალი გახდა.

2007 წელს თემურ ბოკუჩავამ საერთო მეგობრის ხელშეწყობით ოჯახი შექმნა ქობულეთელ მაია ცეცხლაძესთან. უსაზღვროდ ბედნიერ ოჯახს 2008 წლის 27 მაისს ალექსი მოევლინა. მამობით გახარებული უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა ოჯახის წინაშე, მაგრამ დიდი გეგმებით დატვირთული გული გაუჩერა ცხინვალის მისადგომებთან მტრის მიერ ჩამოგდებულმა ბომბმა.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით «მხედრული მამაცობისათვის».

ლევან თეფანია გაიზარდა ტრადიციულ ოჯახში თავის ორ ძმასთან: ალექსანდრე და ირაკლისთან ერთად. ხარობდა ნარგიზა და ოთარ თეფანიების ოჯახი თავიანთი ზრდილი და აღნაგი ვაჟკაცებით. ძმებმა მე-4 საშუალო სკოლა დაამთავრეს, ლევანი პროფესიით ეკონომისტი იყო, მაგრამ ცხოვრებამ სამივე ძმა სამხედრო სამსახურში ჩააყენა. აგვისტოს მოვლენების დროს სამივე ძმა ქვეყნის მთლიანობას საქართველოს სხვადასხვა მხარეს იცავდნენ.

ცელქი და მოუსვენარი ყოფილა ლევანი, ცეკვის მონაცემები ჰქონია, უყვარდა ჩხირკედელაობა, ბაბუას და მამას გვერდიდან არ შორდებოდა.

2001 წელს ლევანი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე-ნატა. 2007წელს 4 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ლევანის დედა ქალბატონი ნარგიზა იხსენებს «3 დღით ადრე ლევანი სახლში მოვიდა, უხასიათოდ იყო, კისერი ჰქონდა გაშშებული, ზუსტად კისერში, იმ ადგილას მოხვდა მტრის ტყვია და არტერია გადაუჭრა.

22-ე ბატალიონის ასეულმა, სადაც ლევანი იბრძოდა თავდაცვითი პოზიცია დაიკავა ეკლესიის ნანგრევებთან, შტაბიდან ბრძანება მიიღეს მათკენ მომავალი რუსული ტანკის მარკის მანქანებისათვის ცეცხლი გაეხსნათ. ორი მანქანა გამოჩნდა. ერთიდან ორი ოსი და ერთი რუსი ჯარისკაცი ხელაწეული გადმოვიდა. ეგონათ იერიში მოიგერიეს, ლევანი და ორი თანამებრძოლი ცოტა მოშორებით მდგარი მანქანისკენ წავიდნენ. რომ მიუახლოვდნენ შიგნით მყოფმა სიკვდილი გაითამაშა, უცებ თავი წამოწია და ქართველ ჯარისკაცებს ავტომატის

ჯერი გაუხსნა, ორი ადგილზე გარდაიცვალა, ლევანი მუხლებზე დაეცა, თანამებრძოლი ლევან ქირია იხსენებს „ლევანის კისრის არტერია ქონდა გადაჭრილი, მხოლოდ ამის თქმა მოასწრო, არ მინდა სიკვდილი, შინ პატარა ნინი მელოდება-ო, და სული განუტევა». ლევანი სიკვდილის შემდეგ მე-2 შვილის მამა გახდა.

დაჯილდოვდა მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული», სენაკში ქუჩას სადაც ის დაიბადა და გაიზარდა დაერქვა მისი სახელი.

ჩვენი ვალია უკვდავყოთ მათი სახელი, მათი გმირობისა და თავდადების ამბები გადავცეთ მომავალ თაობებს.

ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მუზეუმებში მოეწყო ფოტოგამოფენა „8 აგვისტო- ერის ტკივილი,» რომელიც მიეძღვნა აგვისტოს ომიდან 10 წლისთავს, 8-9 აგვისტოს მუზეუმის თანამშრომლებმა ყვავილებით შეავამკეთ თემურ ბოკუჩავასა და ლევან თეფანიას საფლავები.

ბრიალა ანთია,
ჟიული შარტავას სახელობის სენაკის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმისფონდების მცველი

ლიდერობის აკადემიის ტრენინგები დასრულდა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016-2019 წლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტს ახორციელებდა ლიდერობის აკადემია 1. მოიცავდა სამ მოდულს. მოდული 1: 21-ე საუკუნის სკოლის მახასიათებლები. მოდული 2: ეფექტური დირექტორი: თეორიიდან პრაქტიკისაკენ. მოდული 3: ფინანსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, დროის მართვა, საკანონმდებლო საკითხები.

ლიდერობის აკადემია 1-ის სამივე მოდული ჩატარდა ქ. თბილისში სასტუმრო „ფანდში".

ლიდერობის აკადემია 1 გაგრძელდა 5 დღე(40 საათი). 2016 წლის 30 აგვისტოდან 2016 წლის 4 სექტემბრამდე.

ლიდერობის აკადემია 2: მოდული 1 გაზიარებული ლიდერობა და ზრდასრულთა სკოლა–მოდული 2: სწავლების მენტორობა. მოდული 3 ლიდერობა და ზედამხედველობა. მოდული 4: სასწავლო თემის განვითარება, მოდული 5: 21-ე საუკუნის კლასის მახასიათებლები. მოდული 6: თანასწორობის საკითხები.

ლიდერობის აკადემია 2-ის პირველი და მეორე მოდული ჩატარდა ბაზალეთში სასტუმრო „აფხაზეთში" 2017 წლის 28-29-30 იანვარს(3 დღე) 16 საათი.

ლიდერობის აკადემია ორის მესამე, მეოთხე და მეხუთე მოდულები ჩატარდა წყალტუბოში სასტუმრო „სპაში", 2017 წლის 30 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით 6 დღე(48 საათი).

ლიდერობის აკადემია ორის მეექვსე მოდული ჩატარდა წყალტუბოში სასტუმრო „პლაზაში" 2017 წლის 8-9-10 დეკემბერს 3 დღე(16 სათი)

ლიდერობის აკადემია 3: მოდული 1. შეფასებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეების ავტონომიურობის ხელშეწყობა. მოდული 2. ლიდერობა და ჯგუფის დინამიკა. ჩატარდა 5 დღე(40 საათი), ქ. თბილისში სასტუმრო „დორმიტორში" 2018 წლის 5 ივლისიდ 9 ივლისის ჩათვლით.

პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლის დირექტორები და სკოლის ბაზაზე შერჩეული პროექტის პროფესიული განვითარების ფასილიტატორები გადამზადდნენ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით. ტრენინგის მონაწილეებისათვის გათვალისწინებული იყო მაღალი კლასის სასტუმროების დამისთევა და კვება.

ტრენინგების თემატიკა იყო მრავალფეროვანი, რომელიც ადგილობრივ საჭიროებებზე იყო მორგებული და ჰქონდა საერთაშორისო გამოცდილება. სულ თერმეტივე მოდული შეადგენდა 180 საათს, რომელიც მოიცავდა ტრენინგებს, კვარტალურ შეხვედრებს მუნიციპალურ დონეზე, სადაც იხილებოდა კვარტალური დავალებები, დიდი ყურადღება ექცეოდა შეხვედრისას უკუკავშირს, რეფლექციას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ყოველი ტრენინგ-მოდულის დამთავრების შემდეგ 2 კვირაში იგზავნებოდა საშინაო დავალება.

კვარტალურ შეხვდრებზე დირექტორები ერთმანეთს ვუზიარებდით ტრენინგზე მიღებული ცოდნის საკუთარ სკოლებში გამოყენების შედეგებს. მათ შორის ახალ მიდგომებს, სტრატეგიებს, მასალებს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად.

ტრენინგებს ატარებდნენ მაღალი დონის ტრენერები და მოდულის ავტორები: ქალბატონები მეგი როსტიაშვილი, სოფო ხვედელიძე, ხათუნა ბარაბაძე, მაკა მამფორია, ნინო ასანიძე, ლია ჩარკვიანი, ნინო გავაშელი და სხვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლის დირექტორების და პროექტის ფასილიტატორების უმრავლესობამ წარმატებით გაიარეს ლიდერობის აკადემია 1-2, 3 თერთმეტივე მოდულით. მივიღე 4 კრ ქულა, პროფესიული მიმართულებით და ველოდებით ლიდერობის აკადემიის „სერთიფიკატებს".

მართლაც, 21-ე საუკუნის დირექტორი უნდა იყოს ლიდერი, რომელიც საერთაშორისო და ეროვნულ პრაქტიკას გაცნობიერებს. ჩვენ გავუზიარებთ სხვებს ჩვენს გამოცდილებას და იმედია შევქმნით სკოლის სახელმძღვანელოების საკუთარ სისტემას.

ნამდვილ მადლობას იმსახურებს ა.შ.შ—მთავრობის, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

გია ხურცილავა,
სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს
საჯარო სკოლის დირექტორი

ღირსეული სენაკელის სხოვნას

საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მამას სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველ დირექტორს ბატონ კალისტრატე შარტავას ივლისში დაბადებიდან 104 წელი შეუსრულდებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში სამუშაო დღე დაიწყო წუთიერი დუმილით, თანამშრომლებმა პატივი მიაგეს ღირსეული სენაკელის ხსოვნას, გაიხსენეს ბატონ კალეს პიროვნული თვისებები და მისი დამსახურებები.

იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, მამა იოანემ(კუპრეიშვილი) გადაიხადა ბატონი კალისტრატესა და შარტავების ოჯახის გარდაცვლილი წევრების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა ბატონმა დამირ კუჭავამ მამა-შვილის ბატონების კალისტრატე და ჟიული შარტავების ხსოვნას მიუძღვნა ლექსი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

მარინე აბრამია

* * *

გიგონებთ მოძღვარს და მასწავლებელს
და კვლავ ცრემლები ნამავენ თვალებს,
მოგვილოცნია დღე დღევნდელი
ჩვენო ძვირფასო ბატონო კალე.
შევყურებ სურათს ჩვენ წინ ცოცხლდება
ერთი ოჯახის დიდი ცხოვრება,
თქვენი ძვირფასი, ნათელი სახე
მუდამ დაგვრჩება მოსაგონებლად.
და გაამრთელებს მრავალ დაჭრილ გულს,
ქვეყნად მოიტანს შუქს და მშვიდობას,
ამ ერთი სისხლის ორი რაინდის
მარად უკვდავი მამაშვილობა.

დამირ კუჭავა

იზოლდა ჩუამანია

ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ძალიან გვაკლიხარ გულისხმიერებით გამორჩეული ქალბატონი.

პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, თბილი, სინაზით აღსავსე გამოხედვით დადებით მუხტს აძლევდი ირგვლივ მყოფთ. ცხოვრობდი, ფუსფუსებდი, ახლობლების და თანაქალაქელების სიყვარულში იხარჯებოდი.

უფაქიზესი სულის ქალბატონს ნავთსაყუდელი გქონდა შექმნილი სიყვარულისთვის, ერთობისთვის, მეგობრობისთვის. სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე ნამუშევარი ყოველთვის მადლობას იმსახურებდი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

ძალიან დაგვაკლდი. უფალი ნათელში ამყოფებს შენს სხივიან სულს!.

„კოლხეთელები"

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

მუნიციპალიტეტის მერიაში გაგრძელება

შეხვედრა დევნილებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ქალაქ სენაკში, რუსთაველის ქუჩა №116-ში, ყოფილი მე-3 არასრული სკოლის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილებს შეხვდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა მათთან საუბარში აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, აქ მცხოვრებთა მოთხოვნის შესაბამისად, თანამედროვე სტილის ლითონის ღობით შემოკავდება საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, რაც ეზოს კეთილმოწყობის შესაძლებლობას, დაცულობისა და სიმყუდროვის გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

ძველ სენაკში გაზიფიცირების პროცესი დაიწყო

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრსა და მე-2 ნოსირის უბანში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეხვდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა გაზიფიცირების პროცესს, რომელიც ძველ სენაკში უახლოეს პერიოდში დაიწყება. მისი თქმით, დამონტაჟდება როგორც საჰაერო, ასევე მიწისქვეშა გაზსადენი ქსელი და იგი ადმინისტრაციულ ერთეულს სრულად მოიცავს. თანმიმდევრულად განხორციელდება აგრეთვე, შიდა საუბნო გზების, წყალმომარაგებისა და გარე განათების რეაბილიტაცია. დიალოგის რეჟიმში მიმდინარე შეხვედრაზე მერმა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს გააცნო მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ასევე პროექტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით უნდა განხორციელდეს.

პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს სასოფლო დარბაზმა პროექტის "სასოფლო დასახლებების თვითორგანიზება ადგილობრივი განვითარებისთვის" ფარგლებში, 7 აგვისტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მედიასაშუალებებთან და სამიზნე სოფლების (საესებუოს, ზანას და სძურიას) წარმომადგენლებთან.

პროექტის დირექტორი არის საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელი დირექტორი ბატონი ამირან ბიბინეიშვილი, სენაკის რეგიონალური კოორდინატორი

სენაკის რეგიონალური კოორდინატორი სენაკის სასოფლო დარბაზის თავმჯდომარე ხვიჩა მაშავა

აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროპის ფონდის მხარდაჭერით,შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით

ბატონმა ამირან ბიბინეიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია დასახლების საერთო კრების ამოქმედებით ხელი შეეწყოს სენაკის მუნიციპალიტეტში სოფლების მოსახლეობის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მნიშვნელოვნად ამაღლებას, სასოფლო დასახლებების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები:

1. სენაკის მუნიციპალიტეტში შეირჩეს სამი სოფელი მათში დასახლების საერთო კრების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, საინიციატივო ჯგუფების ფორმირება, ჯგუფებისათვის ცოდნისა და უნარჩვევების ამაღლება;

2. მოსახლეობის ინფორმირების, ცნობიერების ამართლების კამპანიის წარმოება საერთო კრების საკითხებზე, სოფლებში საერთო კრების ორგანიზება, ინსტიტუციონალიზაცია;

3. საერთო კრებების ინიციატივების მხარდაჭერა, ადვოკატირება და ლობირებაში საკრებულოს წევრების ჩართვა.

მ.შონია

„უკრაინული ზაფხულის ერთი დღე სენაკში“

ქალაქ სენაკის ცენტრალურ მოედანზე, ქორეოგრაფიული სტუდია „კუჩხიბედინერის" (ხელმძღვანელი: ზვიად გვასალია) ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების მრავალგზის ლაურეატის, ოქროს მედლების მფლობელი უკრაინის ხალხური ცეკვების ანსამბლ „ბურევესტნიკის" და ფესტივალებისა და კონკურსების ლაურეატის, საერთაშორისო ფესტივალების სამგზის გრან-პრის მფლობელი შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სენაკის სახალხო-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხიბედინერის" ერთობლივი კონცერტი - „უკრაინული ზაფხულის ერთი დღე სენაკში" გაიმართა. კონცერტის დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ანსამბლების „ბურევესტნიკისა" და „კუჩხიბედინერის" ხელმძღვანელებს შეხვდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა უკრაინელ ქორეოგრაფებს ჩვენს ქალაქში სტუმრობისა და „კუჩხიბედინერთან" ერთობლივი კონცერტის დაგეგმვისთვის. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართული და უკრაინული - ცეცხლოვანი და ფერადოვანი ცეკვები. „უკრაინული ზაფხულის ერთმა დღემ სენაკში" უკრაინულ და ქართულ კულტურათა დაახლოების კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი გადაშალა.

სამგზის დაპყრობილი „ევერესტი"

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია მიმდინარე წელს საერთაშორისო ოლიმპიადა „ევერესტში" საქართველოს მასშტაბით მათემატიკის ოქროს ტურის გამარჯვებულ სენაკის სკოლა-ლიცეუმის მე-7 კლასის მოსწავლეს - ლუკა ხარებავას შეხვდნენ. შეხვედრას სკოლა-ლიცეუმის დირექტორი ნანა ნორაკიძე და გამარჯვებული მოსწავლის მამა - ლაშა ხარებავა ესწრებოდნენ. ლუკამ ოლიმპიადაზე ზედიზედ მესამედ მოიპოვა წარმატება. 2016-2017 წლებში იგი „ევერესტის მე-2 ადგილის მფლობელი გახდა და დაჯილდოვდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის საგზურით. აღსანიშნავია, რომ, მიმდინარე წელს ლუკა „კინგსის" მათემატიკურ ოლიმპიადაშიც მონაწილეობდა და აქაც გაიმარჯვა, რისთვისაც დაჯილდოვდა ოქროს მედლითა და ანაკლიის საგზურით. მუნიციპალიტეტის მერმა განსაკუთრებული უნარებით გამორჩეულ მოსწავლეს მიულოცა კიდევ ერთი გამარჯვება, ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასცა და შემდგომი წარმატებები უსურვა მას.

აგრო-ტურისტული ფესტივალი ჩხოროწყუში

სამეგრელო-ზემო სვანეთის აგრო-ტურისტული ფესტივალი ჩხოროწყუში, მუხურის მეფუტკრეობის სამეცნიერო ბაზის ეზოში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ფერმერებმა, მეწარმეებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონულმა სამმართველოებმა და მუნიციპალურმა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებმა მიიღეს. აგროფესტივალის ფარგლებში, სოფელ ლესიჭინეში, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჯიღაურას საცდელი მეურნეობის ფილიალის სანერგე მეურნეობა გაიხსნა. მუხურში მოეწყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ თაფლის დაწურვის პროცესს, ცნობილი მეგრული კერძების ელარჯის და გებჟალიას მასტერკლასს. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების გამოფენაში მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი სენაკის მუნიციპალიტეტი. რეგიონის პირველი აგრო ფესტივალი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა კობა ქანთარიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. ფესტივალში გაეროს განვითარების პროგრამების, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს, "USAID" პროექტ "ზრდა"-ს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, სურსათის ეროვნული სააგენტოს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ფესტივალის ორგანიზატორი იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია და "ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის". ფესტივალის მხარდამჭერი - სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია, UNDP, USAID/ZRDA, AFAD, კარტლისი, ბანკი კრისტალი, თხილის მწარმოებელთა ასოციაცია და სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

გაგრძელება მესამე გვერდზე

მუნიციპალიტეტის მერიაში დასახრული

მინისტრის მოადგილე სტიქიის შედეგებს გაეცნო

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სტიქიის ზონაში ადგილზე მოინახულეს სენაკის მუნიციპალიტეტში კოკისპირული წვიმის შედეგად მწყობრიდან გამოსული ლეძაძამე-კვაუთის

დამაკავშირებელი დიდი ხიდი და სხვა დაზიანებული ობიექტები, ადიდებული მდინარეებისგან ჩამორეცხილი სანაპიროები, ქალაქსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული გზები, დატბორილი საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები. სენაკში, მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები. მობილიზებული იყო მერიის სამსახურების და ცენტრების წარმომადგენლებისგან შემდგარი მაშველთა ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ეხმარებოდნენ მოსახლეობას სტიქიასთან ბრძოლაში. შეუჩერებლად მუშაობდა მძიმე ტექნიკა. უკვე მიმდინარეობს ზარალის დათვლა. ხვალიდან სტიქიის ზონებში ჩაერთვებიან სპეციალისტები საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან, რომლებიც, ადგილზე შეისწავლიან შექმნილ მდგომარეობას.

ლეძაძამე-კვაუთის დამაკავშირებელი დროებითი ხიდის მოწყობა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ ლეძაძამე-კვაუთის დამაკავშირებელი დროებითი ხიდის მოწყობის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხიდამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა. დღესვე დროებითი ხიდისთვის ბურჯის მოწყობის და ხიდის კონსტრუქციის

ტრანსპორტირების სამუშაოები განხორციელდება, რის შემდეგაც დაიწყება ხიდის მინტაჟი. სამუშაოებს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, სს „არქეოპოლისი" ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ 10 აგვისტოს, ძლიერი წვიმის შედეგად, ადიდებულმა მდინარე ტეხურმა ლეძაძამე-კვაუთის საავტომობილო ხიდი დაანგრია და 80-მდე ოჯახი გარე სამყაროს მოწყვიტა. მიმდინარე სამუშაოების შედეგად, უმოკლეს დროში განხორცელდება ხიდის აღდგენა და მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს განახლებული ხიდით.

სტიქია სენაკში

ინტენსიურმა ძლიერმა წვიმამ მწვავე პრობლემები შექმნა მუნიციპალიტეტის მასშტაბით. კოკისპირული წვიმის შედეგად დაიტბორა ქალაქ სენაკის ცენტრალური მოედანი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია. დაზიანებულია საავტომობილო გზები, ხიდები. ჭავჭავაძის, რუსთაველის, კოსტავას, ესებუას, გოგებაშვილის, ცოტნე დადიანის, გუნიას, ქურდოვანიძის, ჭყონდიდელის, აღმაშენებლის, სამეგრელოს, დუტუ მეგრელის, გიორგი ბრწყინვალის, დავითაიას, ვახტანგ გორგასლის და სხვა ქუჩებზე დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები. მდინარე ტეხურის ადიდების შედეგად, ქალაქის შემოსასვლელთან მდებარე ხიდთან, 55 გრძივ მეტრზე ჩამოირეცხა ნაპირი, რითაც საშიშროება შეექმნა მიმდებარე საავტომობილო გზასა და მოსახლეობას. წვიმამ ადმინისტრაციული ერთეულებში ზიანი მიაყენა შიდა საავტომობილო გზებს, საკარმიდამო ნაკვეთებს, მოსავალს, საცხოვრებელ სახლებს. ადიდებულმა ტეხურმა მწყობრიდან გამოიყვანა ლეძაძამე-კვაუთის შემაერთებელი დიდი ხიდი. უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარემ ასევე წაიღო ხიდი და ხიდბოგირი. საკარმოდამო ნაკვეთები დაიტბორა ძველ სენაკსა და ლეძაძამეში, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში დატბორილია საცხოვრებელი სახლები გზის გასწვრივ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც. სტიქიის ადგილზე იმყოფებიან სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის სამსახურები გადაყვანილია საგანგებო რეჟიმზე. მყისიერად მობილიზებულ იქნა მერიის სამსახურების წარმომადგენლებისგან შემდგარი მაშველთა ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ეხმარებიან მოსახლეობას სტიქიასთან ბრძოლაში. მუშაობს მძიმე ტექნიკა.

სენაკში სტიქიის შედეგების აღმოფხვრის პროცესი მიმდინარეობს

ქალაქ სენაკში, ძლიერი წვიმის შედეგად დატბორვისგან დაბინძურებულ და შლამისა და ინერტული მასალისგან ჩახერგილ ლოკაციებს სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების და საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის წარმომადგენლები ასუფთავებენ. მუშაობს შესაბამისი ტექნიკა,

მიმდინარეობს ზარალის აღრიცხვისა და სტიქიის შედეგების აღმოფხვრის პროცესი.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

კოლხეთი-95

გახსოვდეთ: ჟურნალისტობიდან მწერლობამდე ერთი ნაბიჯია...



„კოლხეთის" წინა ნომერში მკითხველს შევთავაზეთ ინტერვიუ „სამტრედიის მაცნეს" მთავარ რედაქტორთან ქალბატონ ქეთევან ჭელიძესთან რეგიონალური მედიის პრობლემების შესახებ. ამჯერად ჩვენი საპატიო სტუმარი გაზეთ გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქტორი ზურაბ აბრალავაა. ბატონი ზურაბი ძირძველი ფოთელია, როგორც თვითონ ამბობს -„ კოლხი ვარ, სულ ჟურნალისტად ვმოღვაწეობ 50 წელი - აქედან 35 წელი როგორც რედაქტორი-ტელევიზიის და საქალაქო გაზეთის. იყო მარცხი, იყო წინსვლა- სულ სირბილით ვერ ივლი კაცი, მაგრამ წამომვდგარვარ. ისევ ვაგრძელებ ბრძოლას უნიჭოებთან, გამყიდველებთან, ჩემი კრედო დიდი ნიკოს შთაგონებაა: „მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურე, როგორც შემეძლო"... აკი გაზეთს „ნიკოლაძის გზით" ეს პოსტულატი აქვს წამძღვარებული. ოჯახი- ჩემი ნავთსაყუდელია, ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ ბობოქარი, როგორც ცხოვრება". მეუღლე ინგა ბიჭუნას ასული ბეჩეხია -სენაკელია, კოტიანეთიდან, ნახევრად ჟურნალისტია-ისე პედაგოგი. შვილები მამუკა, მაია (გერმანიაშია გათხოვილი) და ნინო, დაოჯახებულნი არიან და აგრძელებენ ცხოვრებას, შვილიშვილებიც მე მგავან ცისფერთვალება. მოკლედ, სიცოცხლის ძაფი არ წყდება... მეც ვალმოხდილი მივდივარ ამ ქვეყნიდან..."

ბატონო ზურაბ, რა არის რეგიონალური მედიის ძირითადი გამოწვევა?

მედია უნდა ემსახუროს სახელმწიფოს და არა ხელისუფლებას, ეცადოს იყოს მართალი, ცუდია როცა ფინანსურად ვინმეზეა დამოკიდებული, როგორც ეს ხდება საქართველოში. სამწუხაროდ ამიტომაც გვაქვს ნეოფაშისტების მედია-რეჟიმის რუპორი – ყოველგვარი ეროვნულის მტერი და მომსპობელი.

თქვენ მრავალი წელია ემსახურებით ჟურნალისტის პროფესიას, გქონიათ თუ არა უკმარისობის განცდა, რისი გაკეთება გინდოდათ, რა გააკეთეთ, რა ვერ შეძელით...?

ძალიან მინდოდა ჟურნალისტების აღზრდა-დავაჟკაცებაში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ გაზეთი არავის არ აინტერესებს, მაშინ, როცა ყველა და ყველაფერი ფინანსდება, რა დააშავა მედიამ? 50 მილიონითაა დაფინანსებული ბიუჯეტიდან პირველი არხი, 5 მილიონი მაინც გამოუყონ რეგიონებს ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაეხმარონ, დემოკრატია ხომ ყვავის ჩვენს ქვეყანაში, თუმცა გაზეთები იხურება.

თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს თანამედროვე, წარმატებული ჟურნალისტი და რა თვისებები აკლიათ დღევანდელ ჟურნალისტებს?

წარმატებული ჟურნალისტი ბევრს უნდა კითხულობდეს, ჟურნალისტობიდან მწერლობამდე ერთი ნაბიჯია. ჟურნალისტები იყვნენ ვაჟა, ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე.

რამდენადაც ვიცით, ცენტრალურ მედიას ნაკლებად აინტერესებს „პროვინციული ამბები", თქვენი აზრით რა ჯობია, სენსაციური თემები თუ ისტორიას შემოვუნახოთ მუნიციპალიტეტში გამორჩეულ ადამიანთა სახეები(პედაგოგი, ექიმი თუ სხვა)?

ცენტრალური მედია პოლიტიკურ ინტრიგებს ვერ გასცდა... მხოლოდ ინტერვიუები, მაშინ როცა იყო რეპორტაჟი, ფელიტონი, ნარკვევი და ა. შ. თანაც საწყენი ისაა, რომ მიკერძოებულნი არიან, ხალხის ცხოვრებას უნდა აშუქებდეს მედია-რა ტკივა, რა უჭირს.

თქვენ როგორ თვლით, სჭირდება თუ არა რეგიონალურ მედიას მეტი ყურადღება საზოგადოების, ხელისუფლების თუ ბიზნესის მხრიდან?

რამდენადაც დღეს მწირია გასაღების ბაზარი, უჭირს ხალხს, ხელისუფლება უნდა დაეხმაროს გაზეთს, რამეთუ მედიას ბიზნესამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, თანაც თუ ბიუჯეტიდან დაფინანსდება (ადგილობრივ) ხალხის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული, თუმცა, ამაზე არავინ ფიქრობს, არც პარლამენტში, არც ქვედა რგოლებში. არადა, ეხმარებიან იმ ტელევიზიებს, (ბიზნესმენები, პოლიტიკოსები) ვერ გაიგებ მედიაა თუ პროკურატურა- „შიში შეიქმს სიყვარულსა"...

რა არის საჭირო იმისათვის, რომ გაზეთი იყოს გაყიდვადი?

გაზეთი რომ გაყდვადი გახდეს, უნდა იყოს საინტერესო, ახალი ინფორმაციები ყველა დარგში, ჟანრობრივად მრავალფეროვანი, კრიტიკული, მართალი, ოპერატიული და ა,შ.

ბატონო ზურაბ, 2018 წელი „კოლხეთისათვის" საიუბილეოა, რას უსურვებდით „კოლხეთს" და „კოლხეთელებს"

„კოლხეთელებს" ვუსურვებ წარმატებებს, მეტ მხარდაჭერას მთავრობის მხრიდან, ტირაჟის, ფორმატის გაზრდას, ნორმალურ ხელფასებს, ჟურნალისტურ წინსვლას, მოკლედ, ეცადეთ იყოთ მართალი!

მოამზადა
მაია ბერბაიამ